

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკურ საკითხებისა
და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

ოქმი N 16

ქ.ვანი თავისუფლების N65

26 სექტემბერი 2018 წელი

12 : 00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გიგა გოგბერიძე, დავით ხარბეიშვილი, შოთა გიორგაძე, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, გია ხარაბაძე, პაატა ხურციძე, დავით ადეიშვილი, სანდრო ხურციძე.

საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდნენ: მალხაზ ცერცვაძე, ბიჭიკო პაიკიძე, რობიზონ ფუტყარაძე, გია ოჩხიკიძე, აპოლონ რამიშვილი.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

/დანართი N1/

მოწვეული პირი: ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი - **ზვიად კაპანაძე**.

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - გიგა გოგბერიძე. (კომისიის თავმჯდომარე)

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - **ლუბა კიკაბიძე**

დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრისა და მუნიციპალური საკუთრების ობიექტების პრივატიზების პროცესის დაჩქარებისა და მოწესრიგების ღონისძიებათა თაობაზე“.

მომხს: /ზვიად კაპანაძე/

გადაწყვიტეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოხმინეს:

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი - ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრისა და მუნიციპალური საკუთრების ობიექტების პრივატიზების პროცესის დაჩქარებისა და მოწესრიგების ღონისძიებათა თაობაზე“ და განმარტა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართვულობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ“ და „ე.დ“ ქვეპუნქტების, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ი“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მეორე პუნქტისა, 119-ე მუხლის მე-10 პუნქტის, 106¹ მუხლის მე-7 და მე-10 პუნქტის შესაბამისად,

ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილ იქნას მუნიციპალური საკუთრების შემდეგი ობიექტები:

- 1.1 ვანის მუნიციპალიტეტის სოფ. დიხაშხოში მდებარე 64 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით 31.07.26.153;
- 1.2 ვანის მუნიციპალიტეტის სოფ. უხუთში მდებარე 16 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით 31.12.21.174;
- 1.3 ვანის მუნიციპალიტეტის სოფ. უხუთში მდებარე 20 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით 31.12.21.151.

უფრო ვრცლად ობიექტების ჩამონათვალი დანართის სახით თან ერთვის.

/დანართი N 2/

მომხრე - 8
წინააღმდეგი - არცერთი

დაადგინეს:

მიეცეს თანხმობა ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრისა და მუნიციპალური საკუთრების ობიექტების პრივატიზების პროცესის დაჩქარებისა და მოწესრიგების ღონისძიებათა თაობაზე წარმოდგენილ საკითხს.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

გიგა გოგიბერიძე
ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხებისა
და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე